N 1
21/01/2019

1-07-4-201901211224

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი №1

ქ. ლანჩხუთი **15. 01. 2019 წელი**

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები"-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ია ჩხაიძე, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა ხუთი საკითხი. მან მოუწოდა ბიუროს წევრებს აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვირკველია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ა. მახათაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემასა და ქონების ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ -კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ი ჩხაიძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ი. ჩხაიძე/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

9. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დეკემბრის თვის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

10. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2019 წლის 30 იანვარი, 11:00 საათი.

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა.** მან აღნიშნა, რომ წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან „სოციალური დაცვის“ მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ უწყებას, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემას ექვემდებარება შემდეგი ფულადი სოციალური დახმარებები: მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა; მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა; მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა; ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა; მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა; ცენტრ ,,იავნანას” თანადაფინანსების პროგრამა; ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა; იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა; სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა; მძიმე საცხოვრებელ პირობებში,

უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა; ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის; ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა; უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა; ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა; მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა; შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა.

ბენეფიციარის მიერ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა:

1. სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებული პირი წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დახმარების დანიშვნის ან მიღების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.
2. მერიაში შემოსული ყველა განცხადება თანდართული დოკუმენტაციით შესასწავლად ეგზავნება შესაბამის სამსახურს.
3. მერიის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს სოციალური დახმარების მიღების თაობაზე საკითხის განსახილველად მომზადებასა და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო სხვა პროცედურების განხორციელებას.
4. მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის ფარგლებში, ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. პროგრამის განხორციელების აუცილებლობას შეისწავლის მერიის შესაბამისი სამსახური და დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს.

კონკრეტული სოციალური პროგრამიდან დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმეტაცია:

ა) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა – განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ცნობა სოციალური სააგენტოდან, რომ არის სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე.

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა –განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ბავშვების დაბადების მოწმობების ასლები, მშობლების ქორწინების მოწმობის ასლი, ერთ-ერთი მშობლის საბანკო ანგარიში და სოციალური სააგენტოდან სარეიტინგო ქულის ამონაწერი.

გ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა - განცხადება, ცნობა, რომ ბენეფიციარს არ აქვს საცხოვრებელი ფართი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, განმცხადებლის და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, განმცხადებლის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ფართის მეპატრონის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ბენეფიციარსა და საცხოვრებელი ფართის მეპატრონეს შორის

გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის ბანკის ანგარიში.

დ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ცნობა სოციალური სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ, ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში.

ე) მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა-მუნიციპალიტეტის მერსა და ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრორექტორს შორის გაფორმებული შეთანხმების აქტი; პრორექტორის მიერ თანხის ყოველთვიური მოთხოვნა.

ვ) ცენტრ ,,იავნანას" თანადაფინანსების პროგრამა - კომუნალური ხარჯების, ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების თანხის კალკულაციის წარმოდგენა;

ზ) ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა - განცხადება, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა N100, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში და პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბენეფიციარის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი.

თ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, დევნილის მოწმობის ასლი და საბანკო ანგარიში.

ი) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა - ბენეფიციარმა ან მისმა ოჯახის წევრმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს: განცხადება; სამკურნალო დაწესებულების ანგარიშ-ფაქტურა და კალკულაცია; განმცხადებლის (პაციენტის) პირადობის მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი),; ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ(პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150000 სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები); ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100, დედანი); ცნობა დაზღვევის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ; ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, გაწეული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო კვლევების თანადაფინანსება, ასევე არაპროგრამული რეფერალური მომსახურება უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც.

კ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების პროგრამა -განცხადება, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ,

შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტიგო ქულის ამონაწერი; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა (ასლი) ან ცნობა; ბენეფიციარის საბანკო ანგარიში. გადაწყვეტილება მიიღება მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ.

ლ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის-ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ პროგრამებზე გახარჯული თანხის კალკულაციის წარმოდგენა და საბანკო ანგარიში.

მ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბენეფიციარის საბანკო ანგარიში.

ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა-განცხადება, მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში.

ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა- განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან დასკვნა. მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი. გადაწყვეტილება მიიღება მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ.

პ) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა-განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა); სამედიცინო დაწესებულების/აფთიაქის მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა; ცნობა სარეიტინგო ქულის შესახებ. (ომის ვეტრანები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულის წარმოდგენისაგან) თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების/აფთიაქის საბანკო ანგარიშზე, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად. მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე. პროგრამით ისარგებლებენ ის ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა 65001-დან არ აღემატება 150000-ს. გადაწყვეტილება მიიღება მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ.

ჟ) შშმ პირის სატატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა-განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა) სამკურნალო დაწესებულების ანგარიშ-ფაქტურა. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად. მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია დახმარების გაცემა, მაგრამ დაყოვნებამ შეიძლება სავალალო შედეგები გამოიწვიოს, დახმარება შეიძლება გაიცეს სამსახურის დასკვნის გარეშეც, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები"-ს თავმჯდომარე **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა იმ ბენეფიციარებისათვის, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა და განსაზღვრული აქვთ 0-დან 150000-მდე სარეიტინგო ქულა, გაეზარდოთ ამ ქულების ნიშნული. ის ასევე დაინტერესდა ფინანსურად რამდენად შესაძლებელია იმ მოქალაქეებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა მედიკამენტებით დახმარების პროგრამით განსაზღვრულია 65001-დან 150000-მდე გაეზარდოთ ზედა ზღვარი ან საერთოდ ამოღებული იქნას ქულა.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსის **თამარ ფირცხალაიშვილის** განმარტებით სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამაში შენიშვნის სახით არის მოცემული, რომ ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო კვლევების თანადაფინანსება, ასევე არაპროგრამული რეფერალური მომსახურება უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც. აგრეთვე, გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება სავალალო შედეგები გამოიწვიოს, დახმარება შეიძლება გაიცეს სამსახურის დასკვნის გარეშეც, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1 .„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას და საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, აგრეთვე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საართველო", ქართული ოცნება - კონსერვატორები", „ქართული ოცნება - მრეწველები", „ქართული ოცნება - მწვანეები", „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის".

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი **თამარ ფირცხალაიშვილი.**

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა.** მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს დასამტკიცებლად წარმოდგენილია 16 სოციალური პროგრამა. ასევე პროექტში დეტალურად არის გაწერილი, თითოეული პროგრამის გაცემისა და მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი: ა). მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა დანართი №1-ის შესაბამისად; ბ). მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა დანართი №2-ის შესაბამისად; გ). მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა დანართი №3-ის შესაბამისად; დ). ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა დანართი №4ის შესაბამისად; ე). მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა დანართი N5-ის შესაბამისად; ვ). ცენტრ ,,იავნანას” თანადაფინანსების პროგრამა დანართი N6-ის შესაბამისად; ზ). ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა დანართი №7ის შესაბამისად; თ). იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა დანართი №8-ის შესაბამისად; ი). სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა დანართი №9-ის შესაბამისად; კ). მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა დანართი №10-ის შესაბამისად; ლ). ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის- დანართი №11-ის შესაბამისად. მ). ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა დანართი №12-ის შესაბამისად. ნ). უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა დანართი №13-ის შესაბამისად. ო). ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა დანართი №14-ის შესაბამისად. პ). მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა დანართი №15-ის შესაბამისად. ჟ). შშმ პირის სატაუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა დანართი №16-ის შესაბამისად.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1 „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას და საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, აგრეთვე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი **თამარ ფირცხალაიშვილი.**

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ.** მისი თქმით, ცვლილება მოიცავს დადგენილების დახვეწას რედაქციული და სამართლებრივი თვალსაზრისით და მისი მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **ვერიკო კვირკველია.**

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების მიზნით უნდა მოიწვიონ აუდიტორი, რომლის შემოწმებაც განისაზღვრება 2018 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 01 იანვრამდე პერიოდით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა უნდა უზრუნველყოს აუდიტორის მოწვევასთან დაკავშირებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით შესყიდვის პროცედურების განხორციელება, ხოლო კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ** შენიშნა,რომ უჯობესი იქნებოდა, თუ აღნიშნული განკარგულების პროექტში შემოწმების პერიოდი ნაცვლად 2018 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 01 იანვრამდე, შეიცვლებოდა 2018 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:
1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.
2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.
3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძე.**

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: . „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემასა და ქონების ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **მამუკა ვადაჭკორიამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა სს ,,სილქნეტი“-ს საოპერაციო მიმართულების დირექტორმა ქალბატონმა ნათია კავთიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩაზე განლაგებული 28 (ოცდარვა) ცალი გარე განათების ბოძზე არსებული წერტილოვანი მდებარეობა) ესაჭიროებათ საკომუნიკაციო ქსელის მოსაწყობად და ითხოვა მისი სარგებლობის უფლებით გადაცემა, პირდაპირი განკაგვის წესით. ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით. ის
მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ეს საკითხი განიხილულ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. . „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემასა და ქონების ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია.
2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **მამუკა ვადაჭკორია.**

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ -კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **ია ჩხაიძემ.** მან აღნიშნა, რომ ეს წესი არეგულირებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების, დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხიდან განათლების, კულტურის და სპორტის სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების დაჯილდოების, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების წესს. წარმატებული სპორტსმენის, მწვრთნელის, ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენის დაჯილდოება:

1. წარმატებული სპორტსმენის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით: ა) საქართველოს ჩემპიონატის I ადგილი – 400 ლარი, II ადგილი – 300 ლარი, III ადგილი – 200 ლარი; ბ) ევროპის ჩემპიონატის I ადგილი – 600 ლარი, II ადგილი – 400 ლარი, III ადგილი – 300 ლარი; გ) მსოფლიო ჩემპიონატის I ადგილი – 800 ლარი, II ადგილი – 600 ლარი, III ადგილი – 400 ლარი; დ) ოლიმპიური თამაშების I ადგილი – 1000 ლარი, II ადგილი – 800 ლარი, III ადგილი – 600 ლარი;
2. წარმატებული სპორტსმენის მწვრთნელის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით: ა) საქართველოს ჩემპიონატის I ადგილი – 300 ლარი, II ადგილი – 200 ლარი, III ადგილი – 100 ლარი; ბ) ევროპის ჩემპიონატის I ადგილი – 500 ლარი, II ადგილი – 300 ლარი, III ადგილი – 200 ლარი; გ) მსოფლიო ჩემპიონატის I ადგილი - 600 ლარი, II ადგილი - 400 ლარი, III ადგილი - 300 ლარი; დ) ოლიმპიური თამაშების I ადგილი - 1000 ლარი, II ადგილი - 800 ლარი, III ადგილი - 600 ლარი;
3. წარმატებული გუნდის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით: საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატის I-ადგილი 1000 ლარი, II-ადგილი 700 ლარი, III-ადგილი 500 ლარი.
4. ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს საბიუჯეტო წლის მანძილზე ერთჯერადად გასაცემი თანხით 300 ლარის ოდენობით.

წარმატებული მოსწავლე/ახალგაზრდის დაჯილდოება:

1. წარმატებული მოსწავლე/ახალგაზრდის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახი თ: ა) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი - 100 ლარი; ბ) საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი - 200 ლარი;
2. მედია-პროექტის ფინალისტების ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი ოდენობით: ა) მედია- პროექტის გამარჯვებული I ადგილი - 500 ლარი;

3. სკოლის ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეების ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით: ა) ოქროს მედალოსანი მოსწავლე - 300 ლარი; ბ) ვერცხლის მედალოსანი მოსწავლე - 200 ლარი;

4. ერთიან ეროვნულ და საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელთა ფულადი ჯილდო განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელი - 1 000 ლარი; ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელი- 1 000ლარი.

ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის ინდივიდუალური შემსრულებლების, ხელოვნების წარმომადგენლობების, შემოქმედებითი დასების ხელმძღვანელი პირების დაჯილდოება:

1. ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის ინდივიდუალური შემსრულებლების ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით: ა) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი ან/და საპატიო წოდების მინიჭება - 100 ლარი; ბ) საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი ან/და საპატიო წოდების მინიჭება - 200 ლარი;

2. ხელოვნების წარმომადგენლობების ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით: ა) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი ან/და საპატიო წოდების მინიჭება - 800 ლარი; ბ) საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი ან/და საპატიო წოდების მინიჭება - 1000 ლარი;

3. შემოქმედებითი დასების ხელმძღვანელი პირების ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით: ა) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი ან/და საპატიო წოდების მინიჭება - 100 ლარი; ბ) საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი ან/და საპატიო წოდების მინიჭება - 200 ლარი.

ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსება ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების ოდენობა განისაზღვროს არაუმეტეს 1000 ლარისა.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ -კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას და საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, აგრეთვე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საართველო“, ქართული ოცნება -

კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **ია ჩხაიძე.**

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს. მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **ია ჩხაიძემ.** მან აღნიშნა,რომ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის საქმიანობის გამარტივებისა და შედეგიანობის ამაღლების მიზნით მიზანშეწონილი იქნება, თუ წარმოდგენილი პროგრამა დამტკიცდება საკრებულოს მიერ განკარგულებით. პროექტში თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის მიზნობრიობა დეტალურადაა გაწერილი:

1. განათლების ხელშეწყობის პროგრამა დანართი N1-ის შესაბამისად. ა) ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინასების ქვეპროგრამა. ბ) განათლების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისების ქვეპროგრამა. გ) ტრანსპორტირების ქვეპროგრამა.

2. კულტურის ღონისძიებების პროგრამა დანართი N2-ის შესაბამისად. ა) კულტურული ღონისძიებების ორგანიზების ქვეპროგრამა. ბ) კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანებისა და შემოქმედებითი კოლექტივების წახალისების ქვეპროგრამა. გ) ტრანსპორტირებით დახმარების ქვეპროგრამა. დ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების ქვეპროგრამა. ე) კულტურული პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამა.

3. სპორტული ღონისძიებების პროგრამა დანართი N3-ის შესაბამისად. ა) საჩუქრების და პრიზების შეძენის ქვეპროგრამა. ბ) წარმატებული, ახალგაზრდა, ვეტერანი და ღვაწლმოსილი სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისების ქვეპროგრამა. გ) ახალგაზრდული სპორტული ტურნირების მხარდაჭერის ქვეპროგრამა. დ) სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე ჩატარების ქვეპროგრამა. ე) ტრანსპორტირებით მხარდაჭერის ქვეპროგრამა.

4. ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამა დანართი N4-ის შესაბამისად. ა) ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამა. ბ) შ.შ.მ. ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **ია ჩხაიძემ** განმარტა, რომ კულტურის ღონისძიებების პროგრამაში ჩართეს ახალი მოცემულობა-,,ლანჩხუთობის სახალხო

დღესასწაული“-ს აღნიშვნა, სადაც წარმოჩენილი იქნება მთელი მუნიციპალიტეტი თავისი ადმინისტრაციული ერთეულებით. დღესასწაული ჩატარდება ოქტომბრის თვის მეორე ნახევარში და ჩამოვლენ ლანჩხუთიდან წასული წარმატებული ადამიანები. ტრადიციული ,,ლელო“-ს დღესასწაული ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდება. ასევე არის რეგიონალური ფესტივალი ,,ბახმარო სანსეტი“, რომელიც შარშან ჩატარდა და იყო ძალიან შთამბეჭდავი.

,,ლანჩხუთობის სახალხო დღესასწაულთან“ დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებები და ყველა ერთად შეთანხმდა იმაზე, რომ აღნიშნული საკითხი განსახილველად გადაეცეს საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებს.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის **ალექსანდრე მახათაძის** აზრით პროცედურულად სწორი იქნებოდა ჯერ დამტკიცებულიყო პროგრამები და ამის შემდეგ ემსჯელათ გაცემის წესზე.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას და საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, აგრეთვე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **ია ჩხაიძე.**

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მერვე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ადმინსტრაციული წარმოება ეხება შემდეგ ცვლილებებს: 2018 წლის 29 ოქტომბრის N 1994 განკარგულებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტების დაფინანსების მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო სკოლების რეაბილიტაციისთვის-ჩიბათის საჯარო სკოლის(ჭალის სკოლა) 39810,30 ლარი და ნინოშვილის საჯარო სკოლის 62908,86 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N 2577 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1608425 ლარი, მათ შორის: ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ეგნატე ნინოშვილის სახლ მუზეუმთან მისასვლელი გზის აღდგენის სამუშაოებზე ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოეყო 300598 ლარი და საკუთარისახსრებიდან 15822 ლარი, გვიმბალაურის, ღრმაღელის, სუფსის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოებზე ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყო 1307827 ლარი და საკუთარი სახსრებიდან 68833 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია.**

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დეკემბრის თვის შესრულების შესახებ ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მისი განმარტებით 2018 წლის ბიუჯეტის წლიური გეგმა იყო 3315197 ლარი და შესრულდა 3647598.318 ლარით, აქედან მხოლოდ დეკემბრის თვის შემოსავლებმა შეადგინა 199768.78 ლარი. ბიუჯეტი

შემოსავლების ნაწილში შესრულებულია 110%-ით, აქედან აღსანიშნავია შემოსავლები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, რომელმაც შეადგინა 349.6% და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე-114.2%. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის თქმით, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ბიუჯეტი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ნაწილში შესრულდა 84.1%-ით, არაფინანსური აქტივების კლება 58,6%-ით და დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის ადგილობრივი მოსაკრებლის ნაწილში-69.7%-ით. მთლიანობაში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი შესრულდა 101%-ით.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დეკემბრის თვის შესრულების ანგარიში.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე** მიესალმა იმ ფაქტს, რომ ქალაქში სამი სტადიონი კეთდება, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ მოსაწესრიგებელია საფეხბურთო კლუბ ,,გურია"-ს სათადარიგო სტადიონის ინფრასტრუქტურა. მისი თქმით, ამ საკითხის მოსაგვარებლად საჭიროა როგორმე გამოინახოს სახსრები, რომელიც სავარაუდოდ არ იქნება დიდი ოდენობის. ამ სტადიონით ისარგებლებს სხვადასხვა ასაკობრივი საფეხბურთო გუნდები, აგრეთვე გოგონათა საფეხბურთო გუნდი და ზოგადად კარგი იქნება მომავალი თაობისათვის.
საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აგრეთვე აღნიშნა, რომ სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩინური კომპანიის მძიმეწონიანი ავტომობილების გადაადგილებამ დააზიანა ასფალტის საფარი, რის გამოც არაერთხელ ქონდა საუბარი აღნიშნულ კომპანიასთან, რათა შეაკეთონ მათ მიერ დაზიანებული გზის სავალი ნაწილი და ელოდება რეაგირებას.

ბიუროს წევრები შეთანხმდნენ, რომ მოსაწესრიგებელია საფეხბურთო კლუბ ,,გურია"-ს სათადარიგო სტადიონის ინფრასტრუქტურა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძე** დაინტერესდა, რამდენად შესაძლებელია ფინანსური რესურსის მოძიება ხელფასების მოწესრიგების მიზნით ისე, რომ ეს თუნდაც მცირე ოდენობით შეეხოს მერიისა და საკრებულოს ყველა თანამშრომელს. მან თხოვნით მიმართა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს როლანდ ლაშხიას უახლოეს დროში უზრუნველყონ სახსრების მოძიება ზემოაღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებთან ერთად მოიწონა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ალექსანდრე მახათაძის წინადადება და მიმართა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს როლანდ ლაშხიას უახლოეს პერიოდში მოძიებული იქნას სახსრები, რათა მოგვარდეს აღნიშნული საკითხი.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ ეს საკითხი განსახილველია საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის მერთან ერთად.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **კარლო კვიტაიშვილმა** გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ არა ერთხელ იყო დაყენებული საკითხი მერისა და საკრებულოს თავმჯდომარისათვის სამსახურეობრივი ავტომობილების შეძენასთან დაკავშირებით, რასაც რეაგირება არ მოყოლია. მან ასევე აღნიშნა, რომ მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსაწესრიგებელია ასფალტის საფარი.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **კარლო კვიტაიშვილმა** გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საჭიროა აკეთის, ნიგოითის, ჩოჩხათის და შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულებში თითო სპეციალისტის დამატება.

ბიუროს წევრებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ არ იქნებოდა ურიგო, თუ თითო სპეციალისტი ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში იქნებოდა დამატებული.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი მოითხოვს მატერიალურ უზრუნველყოფას, რომელიც მოსაძიებელია.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მუნიციპალიტეტში ჩატარებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები არ შეესაბამება სტანდარტებს და მოუწოდა ბიუროს წევრებს სურვილისამებრ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი გვარჯალაძესთან** ერთად დაათვალიერონ ის ობიექტები, სადაც დასრულდა ან მიმდინარეობს აღნიშნული სამუშაოები. მისი თქმით, ტენდერებში იმარჯვებენ გაურკვეველი წარმომავლობის ინდმეწარმეები, რომლებიც არაკვალიფიციურები არიან და სამუშაოებსაც არასრულფასოვნად ასრულებენ. აქედან გამომდინარე, ინფრასტრუქტურული პროექტების ტენდერი უნდა გამოცხადდეს ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, რომელიც არ იქნება გრძელვადიანი(დიდ ფინანსებთან დაკავშირებული) და ადგილობრივ ინდმეწარმეებსაც უნდა მიეცეს არსებობის საშუალება, რომლებიც სხვებისგან განსხვავებით, კეთილსინდისიერად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად მის მიერ მრავალგზის მიცემული შენიშვნისა, ჩოლობარგის ბაღის პროექტი ისე ჩაიბარეს, რომ ბაღის წინ არ დააგეს ასფალტის საფარი.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწვლები“-ს თავმჯდომარის, **სპარტაკ კვაჭაძის** აზრით, მისაღებია ტენდერების ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით გამოცხადება, რადგან გაერთიანებული ტენდერის პირობებში ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში რვა ოჯახი დატოვეს უწყლოდ. დაუყენეს წყლის მრიცხველები და არ შეუყვანეს წყალი. მან გამოთქვა უკმაყოფილება, რომ მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა, ის ვერ დაეხმარა ამ ადამიანებს, რადგან პროექტი უკვე ჩაბარებულია.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ მსგავსი ქმედებები არის დანაშაული და შემოვიდა წინადადებით, რომ საჭიროა ჩაატარონ გასვლითი სხდომა, რომელსაც დაესწრება მუნიციპალიტეტის მერი, მერიის შესაბამისი სამსახურის უფროსები, დეპუტატები და იქ განიხილონ ზემოაღნიშნული საკითხები. ბიუროს წევრებმა მოიწონეს ზემოაღნიშნული წინადადება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარემ **ბესო კუპრაძემ** აღნიშნა, რომ მსგავსი პრობლემები, რომლებიც სავალალო შედეგებით მთავრდება, არის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულშიც. ამ საკითხთან დაკავშირებით ის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან ლევან ჩხაიძესთან ერთად იმყოფებოდა მუნიციპალიტეტის მერთან ალექსანდრე სარიშვილთან, სადაც გაარკვია, რომ იმ სამუშაოების უმეტესი ნაწილი, რომლებიც არასრულფასოვნად არის შესრულებული, უკვე ჩაბარებულია, თანაც ისე, რომ ეს ჩატარებული სამუშაოები დასრულების შემდეგ არც კი უნახავთ.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე **ბესო კუპრაძე** მიიჩნევს, რომ ამ საკითხის გამოსასწორებლად საჭიროა შპს ,,რეალ-ექსპერტი"-ს ხელშეკრულების დეტალურად განხილვა, რომ გაირკვეს ისინი რა კრიტერიუმებით იბარებენ ჩატარებულ სამუშაოებს. ასევე, რა ფუნქცია ეკისრება ამ დროს მერიის შესაბამის სამსახურებს.

გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ რაც შეიძლება მალე უნდა მოწესრიგდეს სუფსის სარკინიგზო გადასასვლელიდან ღრმაღელემდე გზის მონაკვეთი, ასევე აქტუალურია გაზიფიცირებისა და საბავშვო ბაღის საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურის მინისტრის ლანჩხუთში ვიზიტის დროს მან მინისტრს სთხოვა დახმარება სუფსისა და ხაჯალიის ბაღების აშენების საკითხზე, რაზეც მინისტრისგან მიიღო დაპირება და იმედოვნებს, რომ ეს დაპირება იქცევა რეალობად.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო